

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“- ს სხდომის
ოქმი № 1

ქ.თელავი

21. 01. 2019 წ.

თავმჯდომარეობდა: ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“- ს თავმჯდომარე
გიორგი ჩაბრაშვილი
ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გიგა
მამუკელაშვილი, გოჩა წაწალაშვილი.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის ლანდშაფტისა და კლიმატური პირობების გაუმჯობესებისათვის ხე-მცენარეების ნუსხის შემუშავებისა და დამტკიცების შესახებ.

მომხს: გ. ჩაბრაშვილი

მოისმინეს: ფრაქციის თავმჯდომარემ გიორგი ჩაბრაშვილმა, ფრაქციის წევრებს წარუდგინა ინიციატივა, თელავის მუნიციპალიტეტის ლანდშაფტისა და კლიმატური პირობების გაუმჯობესებისათვის ხე მცენარეების ნუსხის შემუშავების შესახებ.


აზრი გამოთქვეს: სხდომის თავმჯდომარემ, ფრაქციის წევრებს გააცნო ინიციატივის არსი და მნიშვნელობა კერძოდ, აღნიშნული ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში მუნიციპალიტეტში ეფექტიანად დაიგეგმება გამწვანების სამუშაოები გრძელვადიან პერსპექტივაში, გამწვანების აქციები, გამარტივდება არსებული მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა. ნუსხის დამტკიცების შემთხვევაში მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს სახელმწიფო პროგრამაში და შეღავათიან ფასად შეიძინოს ნერგები, მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივის აქტის საფუძველზე დამტკიცებული ნუსხიდან, რომელიც ამავე დროს გათვალისწინებულია აღნიშნული სახელმწიფო პროგრამით.

გიგა მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ ინიციატივის განსახორციელებლად საჭიროა მუნიციპალიტეტის მერთან შეიქმნას სპეციალური კომისია რომლის შემადგენლობაშიც შევლენ

საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები, გამწვანების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები და ექსპერტები.

გადაწყვიტეს: უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გატანილ იქნას ინიციატივა მუნიციპალიტეტის ლანდშაფტისა და კლიმატური პრობების გაუმჯობესებისათვის ხე მცენარეების ნუსხის შემუშავებისა და დამტკიცების მიზნით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში, სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ.

ფრაქციის თავმჯდომარე:



გიორგი ჩაბრაშვილი